

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე: „საქართველოს კანონი
„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეგანის თაობაზე
ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

თანამედროვე და ეფექტური სასაზღვრო უწყების ჩამოყალიბება. თანამედროვე სტანდარტებიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ თვისი კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებით თავისი ფუნქციონალური მოვალეობები განახორციელოს საქართველოს ტერიტორიის იმ ფარგლებში რაც მითითებულია კანონპროექტში. რაც მოითხოვს აუცილებლობას ამ მიმართულებით მოხდეს კანონში ცვლილების შეტანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მიმდინარე რეფორმა, რომლის მიზანს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება წარმოადგენს. კანონპროექტი მიზნად ისახავს სასაზღვრო პოლიციის სამართალდამცავ სტრუქტურად ჩამოყალიბების პროცესში, გაიზარდოს სასაზღვრო უწყების მოქმედების არეალი ოპერატიულ-სამძებრი ღონისძიებებისა და სამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში, რაც სრულებით შეესაბამება ევროპული და დასავლური სასაზღვრო უწყებების სტანდარტებს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციას უფლება ენიჭება იმოქმედოს კანონპროექტში აღნიშნულ ტერიტორიის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრი ღონისძიებების და სამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში.

კანონპროექტის თანახმად, ახლებურად ყალიბდება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, სასაზღვრო ზონად განსაზღვრულია სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან სანაპირო ზოლიდან საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემავალი არა უმეტეს 5 კილომეტრი,

განსაკუთრებულ შემთხვევაში 30 კილომეტრის სიგანის სახმელეთო ზოლი, აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომის), რკინიგზის სადგურის, საერთაშორისო სამდინარო და საზღვაო პორტის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირობებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება ამ კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპები):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.